# IPS

## Internationales Parlaments-Stipendium des Deutschen Bundestages



## Deutscher Bundestag

# გნებავთ გერმანიის პარლამენტში მუშაობა?

გერმანიის ბუნდესტაგი გიწვევთ ბერლინის დამოუკიდებელ უნივერსიტეტთან, ბერლინის ჰუმბოლდის უნივერსიტეტთან და ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად ინტერნაციონალური საპარლამენტო სტიპენდიით (IPS) ხუთი თვით ბერლინში.

IPS გათვლილია მაღალი კვალიფიკაციის მქონე და პოლიტიკურად დაინტერესებულ ახალგაზრდა ქალებზე და მამაკაცებზე, რომლებსაც გააჩნიათ სურვილი, პროგრამმი დასრულების შემდგომ დაბრუნდნენ უკან თავიანთ ქვეყნებში და აქტიურად და პასუხისმგებლობით ჩაებან თავიანთი ქვეყნის დემოკრატიული მომავლის შენებაში.

გერმანიის ბუნდესტაგი, გერმანიის პარლამენტი, ახალგაზრდებს ბუნდესტაგის ერთ-ერთ წევრთან 13-კვირიანი დასაქმების პერიოდში გააცნობს გერმანიის საპარლამენტო სისტემას და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესებს. ისინი ასევე დააგროვებენ პრაქტიკულ გამოცდილებას საპარლამენტო საქმიანობაში.

სტიპენდიანტებს ამოარჩევს გერმანიის ბუნდესტაგის დამოუკიდებელი კომისია.

**წინაპირობები**

- თანამონაწილე ქვეყნის მოქალაქეობა
- უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი
- გერმანული ენის ძალიან კარგი ცოდნა
- გერმანიის პოლიტიკის, საზოგადოებისა და ისტორიის ცოდნა
- სასტიპენდიო პროგრამის დასაწყისში 30 წლამდე ასაკის

**სტიპენდია**

- 500 ევრო თვეში
- საცხოვრებელი ადგილი
- დაზღვევისა და მგზავრობის ხარჯები

**საბუთების მიღება 31 ივლისამდე**

- დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მეორე გვერდზე, გერმანიის საელჩოში ან ინტერნეტში შემდეგ ვებ-გვერდზე:

www.bundestag.de/ips